

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

12. 04 . 2016 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N 17/36

2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შემოკლებანი	3
ზოგადი ინფორმაცია	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	5
1.პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯები.....	5
2. ღონისძიების ხარჯებით შეძენილი აქტივების ასახვა.....	6
3. საცნობარო მუხლში აქტივების აღრიცხვა.....	9
4. სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია	11
5. ძირითადი კაპიტალის მოხმარება	13
6. ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დარიცხული სანქციის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა	13
7. ქონების იჯარით მიღებული შემოსავლები.	14
8. მივლინების მუხლით გაწეული ხარჯები	17
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	18
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	18
აქტივების მართვა	18
სახელმწიფო შესყიდვები	19
ბიუჯეტის შედგენა -შესრულება	21
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	24
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	25

შემოკლებანი

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი;
- სსიპ -აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო -სააგენტო;
- სსიპ -ბათუმის მუსიკალური ცენტრი- მუსიკალური ცენტრი;

ზოგადი ინფორმაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო არის სამთავრობო დაწესებულება, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. სამინისტრო ანგარიშვალდებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს შესაბამის სამთავრობო დაწესებულების წინაშე. დაფინანსების წყაროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი. სამინისტროს სისტემა მოიცავს ცენტრალურ აპარატს (15 სტრუქტურული ერთეული), საქვეუწყებო დაწესებულებას (სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი), საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და სამინისტროს მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, რომელთა 2015 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 37 733 873 ლარს. იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქუჩა N4.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს აპარატის და მის სახაზინო კოდში (05) შემავალი იურიდიული პირების ბალანსს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში შემოსულობებისა და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, ასევე საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად

ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯები

1.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2015 წლის 19 მარტის N69, 29 მაისის N151 და 31 ივლისის N254 ბრძანებებით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს, 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის საორგანიზაციო ხარჯების დასაფარად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 75 000 ლარი. დეპარტამენტის მიერ, აღნიშნული თანხა „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ (კოდი 221012) მუხლით, სპორტული ღონისძიებების ქვეპროგრამის (05120201) ხარჯებიდან, ეტაპობრივად გადახდილია ა(ა)იპ „2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტზე“¹, საორგანიზაციო ხარჯების დასაფარად.

ა(ა)იპ „2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი“, დებულების თანახმად, გარდა 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ორგანიზებისა, (2.3.4 მუხლი) უფლებამოსილია ისარგებლოს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის მიერ მინიჭებული სხვა უფლებამოსილებით და ასევე განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები საქართველოში 2017 წელს ჭადრაკში მსოფლიო თასის ჩატარებასთან დაკავშირებით. ამავე დებულების 7.2. მუხლის მიხედვით, კომიტეტის დაფინანსების წყაროა დამფუძნებლის შენატანები/შემოწირულობები და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიზნობრივი სუბსიდია, როგორც სახელმწიფო, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ სპორტული ღონისძიებების ქვეპროგრამით (კლასიფიკატორის კოდი N05120201) გათვალისწინებული იყო სპორტული ფედერაციების, რაგბის კავშირის, აჭარის პარაოლიმპიური კომიტეტის, საუკეთესო

¹ დაფუძნებულია 2014 წლის 18 ნოემბერს¹, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ა(ა)იპ-საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და ა(ა)იპ-„ზურაბ აზმაიფარაშვილის საერთაშორისო ფონდის“ მიერ. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, იურიდიული პირის წესდება და საორგანიზაციო კომიტეტის დამფუძნებელთა კრების ოქმი N1, 13.11.2014წელი.

სპორტის სფეროს მუშაკების დაჯილდოების და სხვა ხარჯების (გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის არაუმეტეს 9 000 ლარი) დაფინანსება, ხოლო საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N 672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით“ „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ (2210) მუხლით გათვალისწინებულია კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების (221012) გაწევა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ „2018 წლის მსოფლიო საქადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის“ საორგანიზაციო ხარჯების დაფინანსებას სპორტის დეპარტამენტის „სპორტული ღონისძიებების“ ქვეპროგრამა და „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით“ „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი არ ითვალისწინებს.

1.2 სსიპ-აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს „კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება“- პროგრამის (სახაზინო კოდი 05 11 08 02) ფარგლებში 472 252 ლარის კაპიტალური ხარჯები, ნაცვლად არაფინანსური აქტივების მუხლისა („არასაცხოვრებელი შენობების“ ზრდა), გაწეულია სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების მუხლით, რაც შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს ბრძანება N672 -ით დამტკიცებულ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მე-4 და მე-5 თავების მოთხოვნებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ბუღალტრული ანგარიშგების ფორმა N2-ში, საკასო ხარჯების ჯამი 472 252 ლარით გაზრდილი ღირებულებით, ხოლო ფორმა N2-1-ში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეული საკასო ხარჯი იმავე ოდენობით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

2. ღონისძიების ხარჯებით შეძენილი აქტივების ასახვა

2.1 სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის „ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, 2015 წლის 15 ივლისს გაფორმებულია N390 ხელშეკრულება შპს „ბათუმი ივენთ ჯგუფთან“, 60 ადამიანზე ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკის მომსახურებათან დაკავშირებით. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 36 500 ლარს და მოიცავს კვების, ღამისთევის, აქსესუარების შეძენის, აპარატურის იჯარისა და აქტივების შეძენის ხარჯებს. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილი აქტივებიდან, მიმწოდებლის მიერ შეძენილია ხელშეკრულების ფასების ცხრილით გათვალისწინებული სამი ერთეული, 1 500 ლარის ღირებულების რაცია „მოტოროლა 420“, თუმცა 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, აქტივების მიღების ნაწილში, არ არის ასახული.

2.2 სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ახალგაზრდული ღონისძიების, „ახალგაზრდობის კლუბის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, 2015 წლის 12 მარტს შპს „არტ-არეა“-სთან გაფორმებულია N124 ხელშეკრულება „ხელოვანთა კლუბის“ ორგანიზებასთან დაკავშირებით. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 12 000 ლარს. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილი აქტივებიდან, მიმწოდებლის მიერ შეძენილია ხელშეკრულების ფასების ცხრილით გათვალისწინებული ერთი ერთეული, 2 300 ლარის ღირებულების კამერა - sony HD 4k, თუმცა 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, აქტივების მიღების ნაწილში, არ არის ასახული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბიუჯეტო სახრებით შეძენილი 3 800 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივების, 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (აქტივების მიღება) აუსახველობა შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, 23 -ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებთან.

2.3 სსიპ-დაბა შუახევის საჯარო სკოლა-პანსიონისთვის ავეჯის შესყიდვასთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2015 წლის 15 სექტემბერს განხორციელებულია სახელმწიფო შესყიდვა (SPA 150021656) და შპს „მობილ ჯორჯიასთან“ გაფორმებულია N331 ხელშეკრულება, 64 664 ლარის ღირებულების აქტივების მიწოდებასთან დაკავშირებით. მიმწოდებლის მიერ, 2015 წლის სექტემბრისა და ოქტომბრის თვეში წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებებით, აგრეთვე მხარეებს² შორის 2015 წლის 22 ოქტომბერს შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით ირკვევა, რომ მიმწოდებლის მიერ აქტივები მიწოდებულია სრულად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და შპს „ალტას“ შორის 2015 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული N448 ხელშეკრულებით, სასაქონლო ზედნადებით და მიღება-ჩაბარების აქტით ირკვევა, რომ სამინისტროს მიერ სკოლა-პანსიონისათვის კვლავ მიწოდებულია 2 474 ლარის ღირებულების ტელევიზორები და აქსესუარები.

წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სსიპ-დაბა შუახევის საჯარო სკოლა-პანსიონის 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა N1; N5) არ არის ასახული სამინისტროს მიერ შეძენილი და მიწოდებული აქტივების ღირებულება

² მიმღები მხარე სამინისტრო, შუახევის რესურსცენტრი, სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლა.

67 138 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აქტივების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მდგომარეობა შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, 23 -ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებთან.

2.4 სსიპ-აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, ქალაქ ბათუმის მერიის მიერ უზუფრუქტით გადაცემული ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ./დემეტრე თავდადებულის ქ. N17/7, რუსთაველის ქ. N15-ში მდებარე 710.01 კვ.მ. შენობა-ნაგებობა, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე ერიცხება 21 567 ლარის ღირებულებით, რომელიც სააგენტოს განმარტებით, წარმოადგენს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, წინა პერიოდში შესყიდული საპროექტო სამუშაოების ღირებულებას. ქალაქ ბათუმის მერიის 2015 წლის 21 ოქტომბრის N25/20131 წერილის თანახმად, სააგენტოს მიღებული აქვს აღნიშნული ქონების შეფასებასთან დაკავშირებით 2015 წლის 8 აგვისტოთი დათარიღებული აუდიტის დასკვნა, რომლის მიხედვით შენობა-ნაგებობის ღირებულება შეფასებულია 994 014 ლარად, თუმცა 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში (შენობა-ნაგებობის ანგარიშზე) არ არის ასახული, რაც შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, 23 -ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნებთან.

2.5 ა(ა)იპ „ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლის“ მიერ 2015 წლის 8 დეკემბერს, N60 ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი 300 ცალი, 3 500 ლარის ღირებულების სამხატვრო სკოლის კატალოგი, ნაცვლად აქტივების შემადგენლობაში ასახვისა, ჩამოწერილია ხარჯებში, რაც შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის და 25-ე მუხლის მოთხოვნებთან.

2.6 სსიპ-აჭარის ხელოვნების მუზეუმის, მიერ 2015 წლის 16 მაისს N23 ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი 1 824 ლარის ღირებულების ავეჯი (4 ცალი სავარძელი 1 568 ლარი, 1 ცალი მაგიდა 256 ლარი), ნაცვლად აქტივებში ასახვისა, აღიარებულია ხარჯად, რაც შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის და 25-ე მუხლის მოთხოვნებთან.

3. საცნობარო მუხლში აქტივების აღრიცხვა

3.1 ა(ა)იპ „მელიტონ ბალანჩივადის ხელოვნების სკოლას“, ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საცნობარო მუხლში ერიცხება 14 607 ლარის ღირებულების ამორტიზირებული ძირითადი აქტივები (N08) და 24 618 ლარის ღირებულების ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი (10) აქტივები. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ საცნობარო მუხლის „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ (ანგN10) შემადგენლობაში ირიცხება 8 440 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები (2 ერთეული როიალი „ესტონია“- 4 796 ლარის ღირებულების, ერთი ერთეული როიალი „კრ ოქტიაბრი“ 1 188 ლარის ღირებულების და 4 ერთეული 4 832 ლარის ღირებულების როიალი, რომლის ერთეულის ღირებულება 500-დან 600 ლარამდე ფარგლებშია), ხოლო საცნობარო მუხლში რიცხული 14 607 ლარის ღირებულების ამორტიზირებული ძირითადი აქტივები (N08), ამავე დროს ირიცხება არაფინანსური აქტივების (მცირეფასიანი ინვენტარი) შემადგენლობაში. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, აქტივების აღრიცხვის მდგომარეობა შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 43-ე მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტის მოთხოვნებთან³.

³ „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ (08) აღირიცხება სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული) ძირითადი აქტივები; „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ (10) აღირიცხება ექსპლუატაციაში გადაცემული, ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები.

3.2 ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის“, ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საცნობარო მუხლში ერიცხება 6 459 ლარის ღირებულების ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები. წარმოდგენილი ანალიზური აღრიცხვის მონაცემებით კი ირკვევა, რომ ფაქტობრივად ხარჯებში ჩამოწერილი მარაგების ღირებულება შეადგენს 3 752 ლარს, 2 707 ლარით ნაკლებს.

3.3 ა(ა)იპ „ქ.ბათუმის სასპორტო სკოლას“ 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საცნობარო მუხლში, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობების (02) სახით ერიცხება ერთი ერთეული 4 200 ლარის ღირებულების გათბობის დანადგარი და 1 740 ლარის ღირებულების წყლის გამაცხელებელი. აუდიტის პერიოდში, სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია საცნობარო მუხლში რიცხული ძირითადი აქტივების მფლობელის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით, აქტივების ღირებულება კი განსაზღვრულია ინდივიდუალური აუდიტორის მიერ 2010 წელს. ამდენად, სკოლის მიერ 5 940 (4200+1740) ლარის ღირებულების აქტივების საცნობარო მუხლში (02) ასახვა, შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 43 -ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებთან, რადგან საცნობარო მუხლში „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები“ (02) – აღირიცხება ორგანიზაციის მიერ დროებით, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობანი.

3.4 ა(ა)იპ „აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას“ 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ საცნობარო მუხლში, „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ (ანგN10) სახით, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ირიცხება 113 455 ლარის, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 119 796 ლარის ღირებულების აქტივები. აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი ანალიზური აღრიცხვის მონაცემებით კი ირკვევა, რომ 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იდენტიფიცირებულია 103 589 ლარის ღირებულების აქტივები, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 97 248,55 ლარის ღირებულების აქტივები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის საინვენტარიზაციო კომისიის მიერ, საცნობარო მუხლში რიცხული აქტივების ინვენტარიზაცია არ არის განხორციელებული, რაც შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში

ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის” პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებთან.

4. სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია

4.1 ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის 2015 წლის 15 იანვრის N01-07/3 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ, განხორციელებულია თეატრის ბალანსზე რიცხული 3 691 023 ლარის საწყისი საბალანსო ღირებულების აქტივების ინვენტარიზაცია და უვარგისობის მოტივით, ჩამოწერილია ბალანსიდან 76 082 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები. ძირითადი აქტივების ჩამოწერასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე არ არის შექმნილი საინვენტარიზაციო კომისია ⁴ (რომლის შემადგენლობაში შედის თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი, ბუღალტერი და წევრები). წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ჩამოწერილი ძირითადი აქტივები განადგურებულია, თუმცა არ არის წარმოდგენილი კომისიური წესით შედგენილი ჩამოწერილი ქონების განადგურების აქტი. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, თეატრის მიერ ძირითადი აქტივების ჩამოწერა განხორციელებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის №82 დადგენილებით დამტკიცებული „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნების შეუსაბამოდ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოწერილი აქტივების შემადგენლობაში შედის ძვირადღირებული ელექტრო-აპარატურები, სპეც.ნათურები, პროექტორები, კონსტრუქციები, სპეციფიკური მოწყობილობები, მსახიობთა ტანსაცმელი და სხვა, რომლებიც შეძენილია 2010-2011 წლებში, გააჩნიათ ნარჩენი ღირებულება, თუმცა ჩამოწერის (ლიკვიდაციის აქტებში) დოკუმენტებში არ არის მითითებული ლიკვიდაციის შედეგად მიღებული აქტივების შესახებ მონაცემები.

4.2 ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის“, ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საცნობარო

⁴ ჩამოწრის აქტზე ხელს აწერს საინვენტარიზაციო კომისია. საინვენტარიზაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ ხუთი წევრისაგან, მათ შორის: თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი, ბუღალტერი (აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი) და წევრ(ებ)ი,

მუხლში ირიცხება 6 459 ლარის ღირებულების ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები. სამუსიკო სკოლის დირექტორის 2015 წლის 7 დეკემბრის N27 ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ, 2015 წლის დეკემბერში განხორციელებულია ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა საცნობარო მუხლში რიცხულ 6 459 ლარის ღირებულების ხარჯებში ჩამოწერილ, ექსპლუატაციაში მყოფ მარაგებზე, რაც შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებთან, რომლის თანახმადაც ინვენტარიზაციას ექვემდებარება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები, აგრეთვე ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები, ამორტიზებული ძირითადი აქტივები.

4.3 ქალაქ ბათუმის მერის 2015 წლის 31 დეკემბრის N1114 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ „ქ.ბათუმის კომპლექსური სასაპორტო სკოლის“ ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი 508 718 ლარის ღირებულების ქონება, საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემულია ა(ა)იპ „ქ.ბათუმის სასაპორტო სკოლაზე“. აქტივების გადაცემა დადასტურებულია მხარეებს შორის 2015 წლის 31 დეკემბერს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით და ასახულია 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა მიღებული აქტივების ინვენტარიზაცია, სკოლის საინვენტარიზაციო კომისიის მიერ 2015 წელს არ არის განხორციელებული.

4.4 სააგენტოს 2015 წლის ინვენტარიზაციის ⁵ მასალებში, (მიწის ნაკვეთების საინვენტარო ბარათი), ქალაქ ბათუმის მერიის მიერ უზუფრუქტით გადმოცემული მიწა არ არის ასახული რაოდენობრივი მაჩვენებლით (ასახულია მხოლოდ ღირებულებითი), რაც შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-8-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებთან.

⁵ სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 28 დეკემბრის N01-03/123 ბრძანება.

5. ძირითადი კაპიტალის მოხმარება

5.1 ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სკოლის ფინანსური ანგარიშგებით, ძირითადი კაპიტალის მოხმარების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 9 749,5 ლარს, მათ შორის 6 627 ლარის ხარჯი წარმოადგენს ძირითადი აქტივების ცვეთას, ხოლო 3 122 ლარის ხარჯი მატერიალურ მარაგებზე დარიცხულ ცვეთას, თუმცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია მატერიალურ მარაგებზე ცვეთის დარიცხვას არ ითვალისწინებს.

5.2 სსიპ-აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მიერ, 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში⁶ ძირითად საშუალებებზე არასწორად დარიცხული ცვეთით⁷ შემცირებულია წმინდა ღირებულება 2 611,5 ლარით, რაც შეუსაბამოა „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანების მე-7 მუხლის (დანართი N1) მოთხოვნებთან.

6. ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დარიცხული სანქციის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა

6.1 სააგენტოს მიერ, 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების სახით არ არის ასახული მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადების დარღვევის გამო დარიცხული პირგასამტეხლო 2 886,4 ლარი⁸, რაც შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-13 მუხლის 31-ე პუნქტის მოთხოვნებთან.

⁶ ტელევიზორი პრაიმი - ღირებულებით 560 ლარი და უწყვეტი კვების წყარო UPS DS 340 40 kva- ღირებულებით 25 555 ლარი.

⁷ ნაცვლად წლიური 10 %-ისა დარიცხულია 20 %.

⁸ სს „international projection systems“ ხელ. N382-16.11.2015წ -725 ლარი; ი.მ „ზურაბ ქამადაძე“-ხელშ. N387-03.12.2015წ -252,03 ლარი; ხელშ. N392-09.12.2015წ -742,5 ლარი; ი.მ „ზურაბ ქამადაძე“-ხელშ. N394 -14.12.2015წ -1166,85 ლარი.

6.2 მუსიკალურ ცენტრს მიმწოდებლისთვის არ აქვს იმ ოდენობით დაკისრებული მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით⁹ გათვალისწინებული ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადების დარღვევის გამო პირგასამტეხლო. შედეგად, მიმწოდებლებზე დასარიცხი პირგასამტეხლოს თანხა შეადგენს 466.8¹⁰ ლარს. შესაბამისად, არც მოთხოვნების სახით არის ასახული აღნიშნული თანხა მუსიკალური ცენტრის ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-13 მუხლის 31-ე პუნქტის მოთხოვნებთან.

7. ქონების იჯარით მიღებული შემოსავლები.

ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსის“ ფინანსური ანგარიშგებით 2015 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული საკასო და ფაქტობრივი შემოსავალი შეადგენს 8 155 ლარს. შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით კორტების ხელმძღვანელობის მიერ სამ შემთხვევაში გამოცემულია ბრძანება და დადგენილია ცალკეული სახეობების მიხედვით მომსახურების საფასური, კერძოდ:

✓ 2013 წლის 1 ოქტომბრის N01-03/73 ბრძანებით, საჩოგბურთო კომპლექსის ადმინისტრაციის მიერ დადგენილია საჩოგბურთო კომპლექსის წლიური სწავლის საფასური 20 ლარი (სემესტრში 10 ლარი) და კომპლექსის რიგ მოსწავლეებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. აღნიშნული მოსახურებით 2015 წელს მიღებული შემოსავალი შეადგენს 2 455 ლარს. კომპლექსის ადმინისტრაციის მიერ, 2015 სასწავლო წელს აღსაზრდელთა ჩარიცხვის/მომხმარებლის თაობაზე სამართლებრივი აქტი არ გამოცემულა¹¹, მოსწავლეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოქმედების ვადა გარდამავალ წლებზეა განსაზღვრული (2014-2015 და 2015-2016 სასწავლო წლები), ხოლო 13 შემთხვევაში ხელშეკრულება არაა გაფორმებული, ხოლო შემოსავალში ასახულია თითოეულზე 10 ლარის ოდენობით. აღნიშნულ პირობებში, 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის იდენტიფიცირებული N01-03/73 ბრძანების ფარგლებში, სხვადასხვა საფასურით მოსარგებლე პირებთან ანგარიშსწორების მდგომარეობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპლექსის მიერ აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი სწავლის საფასურის ოდენობის

⁹ ხელშეკრულებები N215 15.09.2015 და N74 13.03.2015

¹⁰ =438+27,8

¹¹ ადმინისტრაციის წერილობითი ინფორმაცია N01-19/14 – 22/03/2016წ.

დადგენის კრიტერიუმები (კალკულაცია, ხარჯების გაანგარიშება და სხვა) და საფუძველი.

✓ 2015 წლის ფინანსური ანგარიშგებით, კორტების სარგებლობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 3 150 ლარს. შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებით 2013 წლის 22 მარტის N36 ბრძანებით (პირველი პუნქტი) საჩოგბურთო კომპლექსით მოსახურების საფასური დაინტერესებული პირებისათვის განსაზღვრულია თვეში 75 ლარით, კვირაში სამჯერ ერთი საათით 1 კორტის სარგებლობის პირობით, ხოლო (მე-2 პუნქტი) ვინც წარმოადგენს მწვრთნელს და აღსაზრდელებს წვრთნებს უტარებს, თვეში 50 ლარი, კვირაში სამჯერ ერთი საათით 1 კორტის სარგებლობის პირობით. აღნიშნულ ბრძანებაში არ არის იდენტიფიცირებული, თუ რა სახის მოსახურებისთვისაა განსაზღვრული სარგებლობის საფასური¹², მწვრთნელის შემთხვევაში, ერთზე მეტი აღსაზრდელის პირობებში რა პრინციპით უნდა მოხდეს საფასურის გადახდა (50 ლარს იხდის ყველა აღსაზრდელი თუ მხოლოდ მწვრთნელი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჩოგბურთო კომპლექსის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ბრძანებით განსაზღვრულ საფასურის დადგენის კრიტერიუმები (კალკულაცია, გაანგარიშების საფუძველი), აგრეთვე ბრძანებით დადგენილ დროში ფიზიკური პირების მიერ (კვირაში სამჯერ ერთი საათით 1 კორტის სარგებლობის პირობით) ფაქტობრივად მიღებული მომსახურების დამადასტურებელი მტკიცებულება. იმ პირობებში, როდესაც ბრძანებით დადგენილია ორი სახის საფასური (50 ლარი, 75 ლარი), ხოლო მიღებულ შემოსავლებში ასახულია ცალკეული პირების მიერ 4 ლარის, 10 ლარის, 20 ლარის, 30 ლარის, 120 ლარის და სხვა ოდენობის თანხების გადახდა, 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის იდენტიფიცირებული N36 ბრძანების ფარგლებში სხვადასხვა საფასურით მოსარგებლე პირებთან ანგარიშსწორების მდგომარეობა.

✓ 2014 წლის 25 მარტის N01-03/12 ბრძანებით განსაზღვრულია სატრენაჟორო დარბაზით მომსახურების საფასური 25 ლარი და 50 ლარი, კვირაში სამჯერადი მომსახურებით, ყოველ ჯერზე ერთი საათის დატვირთვით. აღნიშნული ბრძანების ფარგლებში, 2015 წელს (34 შემთხვევაში) მიღებული შემოსავალი შეადგენს 920 ლარს. საჩოგბურთო კომპლექსის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ბრძანებით განსაზღვრულ საფასურის დადგენის კრიტერიუმები (კალკულაცია, გაანგარიშების საფუძველი), აგრეთვე ბრძანებით დადგენილი დროის განმავლობაში ფიზიკური პირების მიერ (კვირაში სამჯერადი მომსახურებით, ყოველ ჯერზე ერთი საათის

¹² რადგან 2013 წლის 1 ოქტომბრის N01-03/73 ბრძანებით განსაზღვრულია სწავლების საფასური 20 ლარი, ხოლო 2014 წლის 25 მარტის N01-03/12 ბრძანებით განსაზღვრულია სატრენაჟორო დარბაზით მოსახურების საფასური 25 ლარი და 50 ლარი,

დატვირთვით) ფაქტობრივად მიღებული მომსახურების დამადასტურებელი მტკიცებულება. იმ პირობებში, როდესაც ბრძანების ფარგლებში ტრენაჟორით მოსარგებლე პირთა შესახებ მიღებული შემოსავლებიდან, 13 შემთხვევაში მოსარგებლე პირების მიერ გადახდილია ბრძანებით დადგენილისგან განსხვავებული საფასური (30 ლარი, 35 ლარი), საჩოგბურთო კომპლექსის 2015 წლის ფინანსური ანგარიშგებაში არ არის იდენტიფიცირებული სხვადასხვა საფასურით მოსარგებლე პირებთან ანგარიშსწორების მდგომარეობა.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საჩოგბურთო კომპლექსის მიერ N01-03/73; N36 და N01-03/12 ბრძანებების ფარგლებში ფაქტობრივად გაწეული მომსახურებით მისაღები შემოსავლები, მასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯი და გადასახდელი მომსახურების საფასურის რეალობა წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება.

- საჩოგბურთო კომპლექსის საუნის სარგებლობიდან, 2015 წლის ფინანსური ანგარიშგებით მიღებული შემოსავალი შეადგენს (4 ფიზიკური პირი) 150 ლარს. აუდიტის პერიოდში, კომპლექსის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საუნის სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დამადასტურებელი კრიტერიუმები და საფუძველი, აგრეთვე სხვადასხვა პირების მიერ საუნით ფაქტობრივად სარგებლობის დრო და კომპლექსის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯი. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ გვეძლევა საშუალება გამოვთქვათ მოსაზრება საჩოგბურთო კომპლექსის მიერ საუნის ფაქტობრივად დატვირთვის, გამოყენების, მასზე ფაქტობრივად გაწეული ხარჯის, მისაღები შემოსავლების რეალობის და 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ.

- ა(ა)იპ „ქ. ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი“ და შპს „ალმაზტურს“ შორის 2014 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებულია ხელშეკრულება კომპლექსის ბალანსზე რიცხული 44,58 კვ.მ კვების ობიექტის და 7 900, 50 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივების იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, სადაც საიჯარო ღირებულება შეადგენს თვეში 220 ლარს, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2015 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდია ¹³. საჩოგბურთო კომპლექსის მიერ აქტივების იჯარა განხორციელებულია აუქციონის გარეშე, რაც შეუსაბამობაშია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებთან. აქტივების საიჯარო ქირის საბაზრო ფასის დასადგენად, კომპლექსის მოთხოვნის საფუძველზე, 2014 წლის 4 სექტემბერს დამოუკიდებელი აუდიტორის შპს „ექსპრესი XXI“-ის მიერ წარმოდგენილია დასკვნა (N14-09/05 04/09/2014წ), სადაც შენობა-ნაგებობა N3 შეფასებულია საბაზრო ღირებულებით 90 000 ლარი და

¹³ 2015 წლის 1 მაისს გაფორმებული შეთანხმებით საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტილია.

დადგენილია საიჯარო ქირის ოდენობა წელიწადში 2 330 ლარი. კომპლექსის ადმინისტრაციის წერილობითი განმარტებით ირკვევა, რომ აღნიშნულ შენობაში განთავსებულია იჯარას დაქვემდებარებული 46,58კვ.მ ფართობი (კვების ობიექტი), სატრენაჟორო დარბაზი და სასტუმროს 8 ნომერი. აუდიტის დასკვნაში არ არის გამიჯნული იჯარას დაქვემდებარებული 46,58კვ.მ ფართობის საბაზრო ღირებულება, აგრეთვე არ არის იდენტიფიცირებული საიჯარო ქირის ოდენობა დადგენილია თუ არა კომპლექსის მიერ გადაცემული 7 900 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივების გათვალისწინებით. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საჩოგბურთო კომპლექსის მიერ აქტივების იჯარით გაცემა და საიჯარო ფასის განსაზღვრა განხორციელებულია „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 27 სექტემბრის N898 ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ.

8. მივლინების მუხლით გაწეული ხარჯები

მუსიკალური ცენტრის დირექტორის 2015 წლის 24 ნოემბრის N255 ბრძანებით 2016 წლის 4 იანვრიდან 2016 წლის 10 იანვრამდე საერთაშორისო ფესტივალში „VOICES OF COSTA BRAVA“ მონაწილეობის მიღების მიზნით, ორი თანამშრომელი მივლინებული იყო ესპანეთში ქ. ლორეტ დელ მარში. მივლინების მუხლით, წინასწარ გადარიცხულია შპს „თიმ თრეველისთვის“ ინვოისის საფუძველზე 13 876 ლარი. თანხის გაშიფვრაში ჩანს, რომ შპს „თიმ-თრეველს“ თანხა¹⁴ მიღებული აქვს მონაწილეობის ორგანიზებაში, რომელიც მოიცავს სათარჯიმნო მომსახურებას, საბუთების მომზადებას, ფესტივალის საფასურის ტრანსფერს, ღამისთვის ხარჯებს, კომპანიის მოგებას (10 %) და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანხის გადახდის ეტაპზე ცენტრს არ უხელმძღვანელია „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 4 აპრილის N220 ბრძანებით დადგენილი მოთხოვნებით. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ცენტრის მიერ ხარჯების გაწევა ნაცვლად

